ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2024 წლის 22 იანვარი

ქ. ყვარელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ვ.“ ქვეპუნქტის და „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 1

დამტკიცდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები თანდართული №1 დანართის მიხედვით.

მუხლი 2

დამტკიცდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა თანდართული №2 დანართის მიხედვით.

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ 2021 წლის 30 ნოემბრის №23 დადგენილება (matsne.gov.ge 01/12/2021წ. 270070000.35.164.016422).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ყვარლის მუნიციპლიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ილია მზექალაშვილი

დანართი №1

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

პოლიტიკური თანამდებობის პირები			
N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარი)	
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	**5457**	
2.	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**4126**	
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**3593**	
4.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	**2928**	

5.		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	**2662**	
6.		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	**2128**	
პროფესიული მოხელეები				
N	**რანგი**	**თანამდებობის დასახელება**	**თანამდებობრივი სარგოს ოდენობა**	**კოეფიციენტი**
7.	**I**	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	**3059**	**2.3**
8.	**III**	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**1463**	**1.1**
9.	**III**	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**1330**	**1.0**

დანართი №2

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

რანგი	**თანამდებობის (სტრუქტურული ერთეულის) დასახელება**	**საშტატო რიცხოვნება**
I	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი	1
III	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	2
III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1
III	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკანცელარიო საკითხებში	1
III	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	2
III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1